ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5898535

ნომერი: AR1893036

თარიღი : 13.04.2022

გაცემის თარიღი : 18.04.2022

გაცნობის თარიღი : 18.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაჭარავა პ/ნ 26001010295
- ქ.თბილისი ბესარიონ ჟღენტის 5

ნომენკლატურა :

- სპორტული მოედანი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მამედ ახმედოვ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01991003005

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 14129.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 17.08
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 35.74
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 30.74
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 1.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 1.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1.წარმოადგინეთ ასებული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2."დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი.".: - ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს : განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას; ასევე მოიცავს სადემონტაჟო შენობების აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები, ფასადები და ჭრილები,) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ, აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით და დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმას. აგრეთვე ველში აიტვირთოს ყველა სადემონტაჟო შენობის სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

3.წარმოსადგენია სრულყოფილი საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 19-ე მუხლის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს

- მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- მიწის ნაკვეთის მისამართს;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
- სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
- საინფორმაციო დაფის გაბარიტები და მასზე ინფორმაციის განთავსების პირობები, საჯაროობისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება დააზუსტონ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანოებმა მინიმალური გაბარიტის ჯერადობის მიხედვით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული
მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
4. დამკვეთად დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები ან იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია მამედ ახმედოვი წარმოადგინეთ მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მიწის ნაკვეთის მიმართ. წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

(დამკვეთის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა სათანადო წესით დამოწმებული). წარმოადგინეთ რეესტრში რეგისტრირებული ყადაღის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარის თანხმობა. წარმოადგინეთ რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების ყველა საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.